საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული ძირითადი აქტივობები

2025 წელი

სარჩევი

ორგანიზაციულ-ფუნქციური განვითარება 2
1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა 2
2. განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა 2
3. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურისთვის გადმოცემული ტექნიკა და აღჭურვილობა 3
4. განახლებული მცურავი საშუალებები, სამთო-სამაშველო და სახანძრო ტექნიკის ავტოპარკი 3
5. ორგანიზაციული განვითარება 3
სამართლებრივი ბაზის სრულყოფა 4
სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება 5
საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება 6
1. ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა 7
2. საერთაშორისო პროექტები 7
SAILOR 7
INSARAG 7
3. NATO - სთან თანამშრომლობა 8
4. აშშ-სთან თანამშრომლობა 8
5. გაეროსთან თანამშრომლობა 8
6. ჩინეთთან თანამშრომლობა 8
7. თურქეთთან თანამშრომლობა 8
თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა 9

ორგანიზაციულ-ფუნქციური განვითარება

1. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა

- დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა ქუჩა №182-ში სასაწყობე მეურნეობის სამშენებლო სამუშაოები;
- დამონტაჟდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში კვების პროდუქტებისთვის შესანახი სამაცივრე/სასაწყობე ფართი (კონტეინერი);
- დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში ვოლიერების სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. თბილისში, უცნობ გმირთა №182-ში მდებარე სტადიონის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. დედოფლისწყაროსა და ქ. გურჯაანის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში 2 ერთეული წყლის რეზერვუარის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა საქართველოს მასშტაბით დანაყოფებში საოფისე, სასაწყობე და სველი წერტილებისთვის განკუთვნილი 50 ერთეული კონტეინერის განთავსება: კახეთი-4, შიდა ქართლი-4, გურია-13, რაჭა-ლეჩხუმი-4, სამცხე-ჯავახეთი-8, სამეგრელო-6, აჭარა-6, იმერეთი-3, ქვემო ქართლი-2;
- განხორციელდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახანძრო-სამაშველო შენობების მცირე სარემონტო სამუშაოები;
- დასრულდა ქ. გორში, ქ. ქუთაისსა და ქ. ახალციხეში ოპერატიული მართვის ცენტრის კეთილმოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ასევე ქ. თელავში დაწყებულია ოპერატიული მართვის ცენტრის კეთილმოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2026 წელს.

2. განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

2025 წლის განმავლობაში შეძენილია:

- მეხანძრე-მაშველებისათვის ყოველდღიური და სპეციალური ცეცხლგამძლე ფორმა-ტანსაცმელი;
- ზღვაზე მაშველთათვის სპეციალური ფორმა-ტანსაცმელი;
- სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის ფორმა-ტანსაცმელი;
- უსაფრთხოების ბალიში (ბატუტი);
- სამაშველო ღონისძიებებისთვის განკუთვნილი უნივერსალური საკაცე 7 კომპლექტი;
- სახანძრო მანქანების დასაკომპლექტებლად შიდაწვის ძრავაზე მომუშავე ჯაჭვიანი ხერხის კომპლექტი;
- დაწყებულია პროცედურები სხვადასხვა დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის ფორმა-ტანსაცმლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობის შესყიდვის თაობაზე.

3. საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში სამსახურისთვის გადმოცემული ტექნიკა და აღჭურვილობა:

- იაპონიის მთავრობის საგრანტო პროექტ „ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამის (ESDP)“ ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 3 ერთეული ახალი სახანძრო ცისტერნა და 3 ერთეული ავტოკიბე, ასევე 2 ერთეული TOYOTA LAND CRUISER-ის მარკის მცირე ზომის სახანძრო ცისტერნა;
- სამთო, სამაშველო და სახანძრო სხვადასხვა დანიშნულების აღჭურვილობა (სამაშველო ხელთათმანები, ტექნიკური ქურთუკები, ანემომეტრი, სხვადასხვა დანიშნულების სამაშველო თოკები, ვარდნის შესაჩერებელი, თოკის დამცავი ხალიჩები, სამთო-სამაშველო ეკიპირების ჩანთები, კლდის ჩაქუჩები, სახანძრო ჩაფხუტები და ხელთათმანები);
- კომპიუტერული ტექნიკა და აქსესუარები.

4. განახლებული მცურავი საშუალებები, სამთო-სამაშველო და სახანძრო ტექნიკის ავტოპარკი

- 2025 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ სამსახურის ბალანსზე გადმოცემული იქნა 18 ერთეული სხვადასხვა დანიშნულების ავტომობილი და 7 ერთეული 18-კაციანი მიკროავტობუსი;
- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ შეძენილი და გადმოცემული იქნა 3 ერთეული ბურანი, 12 ერთეული წყლის სკუტერი, 3 ერთეული გასაბერი ნავი და 30 ერთეული ახალი სახანძრო ცისტერნა;
- ხულოს მუნიციპალიტეტიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გადმოეცა 1 (ერთი) ერთეული „IVECO EURO CARGO“-ს მარკის ახალი სახანძრო ცისტერნა.

5. ორგანიზაციული განვითარება

- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და დაემატა 17 საშტატო ერთეული;
- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სასწავლო ცენტრმა (სამმართველო) წარმატებით გაიარა ISO 21001:2018 სტანდარტის მიხედვით პირველი საზედამხედველო აუდიტი (სასწავლო ცენტრში 2024 წლიდან დანერგილია ISO 21001:2018 სტანდარტი);
- ტრენინგ-საჭიროებების კითხვარის საფუძველზე სასწავლო ცენტრში (სამმართველო) დაინერგა 4 ახალი სასწავლო პროგრამა/კურსი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სულ დანერგილია 15 სასწავლო პროგრამა/კურსი, რომელთა ფარგლებში, 2025 წელს გადამზადებულია 369 მოსამსახურე;

- საჯარო და კერძო სუბიექტების წარმომადგენლების მომზადება/გადამზადების მიზნით დანერგილია 15 სასწავლო პროგრამა/კურსი, რომელთა ფარგლებში, 2025 წელს მომზადება/გადამზადება გაიარა სხვადასხვა უწყებისა და ორგანიზაციის 1399-მა წარმომადგენელმა;
- შესაბამის სამართლებრივ აქტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მომსახურების სახეების რაოდენობა 22-დან გაიზარდა 32-მდე;
- სააგენტოს დაემატა პიროტექნიკური ნაწარმის იმპორტის/ექსპორტის ნებართვის, პიროტექნიკური ნაწარმის წარმოების/რეალიზაციის ლიცენზიის გაცემისა და სანებართვო/სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლის, ასევე პიროტექნიკურ ნაწარმთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების სწავლების, სერტიფიკატისა და შესაბამისი უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის ფუნქცია;
- საანგარიშო პერიოდში, მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში:
  - ➢ პროექტ „მოხალისე“-ს ფარგლებში გურიის რეგიონში გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან და მოხალისეობის მსურველ კანდიდატებთან. ამ ეტაპზე გურიის რეგიონში „მოხალისე“-ს აპლიკაციის ფორმა შევსებული აქვს 151 მოხალისეს;
  - ➢ საქართველოს წითელი ჯვრისა და ნორვეგიის წითელი ჯვრის წარმომადგენლებსა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს შორის მომავალი აქტიური თანამშრომლობის მიზნით გაიმართა შეხვედრა. საქართველოს და ნორვეგიის წითელი ჯვრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სამცხე-ჯავახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ბორჯომის სახანძრო-სამაშველო სამმართველოში, გაეცნენ სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობას და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარებას სამცხე-ჯავახეთის რეგიონში;
- პროექტ „მოხალისე“-ს ფარგლებში ამჟამად დარეგისტრირებულია 531 მოხალისე.

სამართლებრივი ბაზის სრულყოფა

საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, განხორციელდა შემდეგი სამართლებრივი ცვლილებები:

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად:

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ფუნქციების აღსრულებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს;

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემის მოსამსახურეთა სოციალური გარანტიები, გაიზარდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა - ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის შესაბამისად - 10 000/15 000/20 000 ლარამდე. გაუმჯობესდა სოციალური გარანტიები როგორც მომსახურეთა, ასევე მათი ოჯახის წევრთა მიმართ (მკურნალობისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების სახით);
ცვლილებები განხორციელდა ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის გავლის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება

- სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საგანგებო მართვის გეგმების მომზადების საკითხებზე კონსულტაციები გაეწიათ და სამსახურის მიერ შეთანხმებულ იქნა 301 ორგანიზაციისა და საგანმანათლებლო დაწესებულების საგანგებო მართვის გეგმები;
- სამოქალაქო უსაფრთხოების ორგანიზებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების საკითხებზე თეორიული სწავლება ჩატარდა 47 ორგანიზაციასა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მათ შორის 7 სპეციალური საჭიროების სკოლაში და ერთ კომპანიაში;
- კონსულტაცია გაეწიათ და მომზადდა ჩოხატაურის, ონის, მარნეულის, ლანჩხუთის, დმანისის, ოზურგეთის, ქ. რუსთავის, ხარაგაულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების საგანგებო მართვის გეგმების პროექტები, შესაბამისად, ჩატარდა სამაგიდე და პრაქტიკული სწავლებები. ასევე შეთანხმდა თბილისის, ბათუმის, ამბროლაურის, საჩხერისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების უსაფრთხოების პასპორტები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC), უწყებათაშორის სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2025“-ის დაგეგმვასა და ჩატარებაში, სწავლებაში ჩართული იყო სამსახურის 160-მდე თანამშრომელი;
- 2019 წლის 16 ივლისის საქართველოს მთავრობის №336 დადგენილებით დამტკიცებული ,,საავიაციო ძებნა-შველის რეაგირების გეგმის“ შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა ფართომასშტაბიანი პრაქტიკული სწავლება თემაზე: ,,სამგზავრო თვითმფრინავის კატასტროფა ქალაქის სიახლოვეს“. სწავლებაში ჩართული იყო სამსახურის 170-მდე თანამშრომელი;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებისა და არასაშტატო სახანძრო-სამაშველო ჯგუფებისათვის, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ხანძარზე რეაგირების საკითხებზე, სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტმა განახორციელა შვიდი სწავლება ლექცია-სემინარების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და საველე ვარჯიშების ფორმატში;

- მონაწილეობა იქნა მიღებული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მუხათგვერდის ტერიტორიაზე უწყებათშორისი სწავლების ჩატარებაში. სწავლებაში ჩართული იყო სამსახურის 46 თანამშრომელი.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები:

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კოორდინაციით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) – „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება“ გუნდთან ერთობლივად, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, მოსახლეობის ადრეული შეტყობინების ინტეგრირებული სისტემის კონცეფციის სრულყოფის, ეროვნულ დონეზე მრავლობითი საფრთხეების პროგნოზირების პლატფორმის დახვეწისა და ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემის დებულების შემუშავების მიზნით, ჩატარდა მაღალი დონის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა;
- საფრთხისა და კატასტროფის რისკების საინფორმაციო სისტემის საჯარო პორტალის ეფექტურად გამოყენების მიზნით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ორგანიზებით, გადამზადდა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტების უფლებამოსილი პირები. კონკრეტულად, 30 მუნიციპალიტეტისა და 12 სამინისტროს წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგი აღნიშნული სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით;
- გურიის რეგიონში დიდთოვლობით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხემაღალი და ღვერკი განვითარებული მეწყრული პროცესებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის, სოფელ ხანში გაჩენილი ტყის ხანძრებით და სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩამოვარდნილი თურქეთის რესპუბლიკის კუთვნილი თვითმფრინავის კატასტროფით გამოწვეული საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების, ასევე კასპის მუნიციპალიტეტში დაკარგული საქართველოს მოქალაქის საძიებო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზების მიზნით შეიქმნა საგანგებო მართვის შტაბი და უზრუნველყოფილ იქნა მისი ფუნქციონირება.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

სამსახურის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით, დონორ ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობა

ევროკავშირის პროგრამა „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში“ (EU – SAFE) ფარგლებში, გაეროს პროექტების მომსახურების ოფისის (UNOPS) მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებზე მომზადდა და დაიბეჭდა (13 500 ცალი) საბავშვო პუბლიკაცია „ტინტო“.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატთან (DG ECHO). UCPM - ის ეგიდით საერთაშორისო დონეზე გამართულ სწავლებებში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 10-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა შეხვედრაში, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებსა და აქტივობებში, საერთაშორისო დონეზე, სამსახურის 50 თანამშრომელი გადამზადდა.

2. საერთაშორისო პროექტები

SAILOR

კვიპროსისა და იტალიის კვლევითი ცენტრების ჩართულობით, 2022 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა გაიმარჯვა UCPM საგრანტო კონკურსში და ევროკავშირისგან მიიღო ორწლიანი პროექტის დაფინანსება. პროექტი სახელწოდებით "SAILOR" 2023 წელს დაიწყო და მის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ტრანსსასაზღვრო რისკების შეფასების შესაძლებლობების გაზრდა. პროექტის ფარგლებში საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით შეიმუშავა ადგილობრივი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. გეგმა მოიცავს მოქმედების პროტოკოლებს ადგილობრივი ტიპის საგანგებო შემთხვევებისთვის და ასევე ითვალისწინებს აზერბაიჯანელ პარტნიორებთან პირდაპირი კომუნიკაციის არხებს. პროექტის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი), გაიმართა საველე სწავლება ტრანსსასაზღვრო ტყის ხანძრებთან დაკავშირებით. აღნიშნულ საველე სწავლებაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 250-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. 2025 წელს პროექტ SAILOR-ის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა აქტივობაში გადამზადდა სამსახურის 268 თანამშრომელი.

INSARAG

საერთაშორისო საძიებო-სამაშველო მრჩეველთა ჯგუფთან (INSARAG) თანამშრომლობის ფარგლებში, 2025 წლის 4 ნოემბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, ქ. თბილისში, INSARAG-ის კლასიფიკაციის მიღების მიზნით 36 საათიანი უწყვეტი სწავლება გაიმართა. სწავლების მთავარი მიზანი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ურბანული საძიებო-სამაშველო ჯგუფის შესაძლებლობების პრაქტიკული შეფასება და მათი INSARAG-ის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება. აღნიშნულ სწავლებაში

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 40-მა თანამშრომელმა. 2025 წელს საქართველომ გაეროს საერთაშორისო საძიებო-სამაშველო საკონსულტაციო ჯგუფის (INSARAG) აკრედიტაცია მიიღო და საერთაშორისო სამაშველო ქსელის სრულფასოვანი წევრი გახდა. INSARAG-ის ეგიდით გამართულ სხვადასხვა აქტივობაში სამსახურის 86 თანამშრომელი გადამზადდა.

3. NATO - სთან თანამშრომლობა

ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფორმატში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა აქტივობაში. კერძოდ, 8 აქტივობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო სამსახურის 15-მა წარმომადგენელმა.

4. აშშ-სთან თანამშრომლობა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა აქტივობაში სამსახურის 6 თანამშრომელი გადამზადდა.

5. გაეროსთან თანამშრომლობა

გაეროსთან თანაშრომლობის ფარგლებში გაიმართა 9 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამსახურის 30-მა თანამშრომელმა.

6. ჩინეთთან თანამშრომლობა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა 4 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამსახურის 6-მა თანამშრომელმა.

7. თურქეთთან თანამშრომლობა

თურქეთის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის ფარგლებში, თურქეთის თანამშრომლობის და კოორდინაციის სააგენტოს (TIKA) ორგანიზებით, კატასტროფებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (AFAD) ინსტრუქტორების მონაწილეობით, სამძებრო-სამაშველო და სამთო-სამაშველო მომზადების 7-დღიანი სწავლება გაიმართა, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან მონაწილეობა მიიღო 22-მა თანამშრომელმა.

2025 წელს საგანგებო სიტუციების მართვის სამსახურის 465 თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების ეგიდით გამართულ 37 სასწავლო კურსში როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში 2025 წელს გადმოეცა სხვადასხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა და სახანძრო ტექნიკა, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 10 349 066,28 ლარი.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა „სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემის“ (eFss) დახვეწა/განვითარება: შეიქმნა მონაცემთა ბაზის და ატვირთული დოკუმენტების ყოველთვიური მექანიკური სარეზერვო ასლები მონაცემთა უსაფრთხოებისა და უწყვეტობის უზრუნველსაყოფად; სისტემას დაემატა ჰიდრანტების შემოწმების პროცესში ჩართული თანამშრომლების მონაცემები;
- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ელექტრონული პლატფორმის სისტემისთვის შემუშავდა მართვის პანელი, ავტორიზაციის, რეგისტრაციის და პროლის აღდგენის მოდულები და სერვისებზე განაცხადის ერთიანი ფორმა;
- სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს სერტიფიცირებულ პირთა რეესტრის სისტემისთვის შემუშავდა მონაცემთა ბაზის არქიტექტურა, მართვის პანელი და შესაბამის ორგანოებთან სერტიფიცირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის ელექტრონული გაზიარების სერვისი;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა და გრძელდება მუშაობა ინციდენტების აღრიცხვისა და ანალიზის ელექტრონულ პორტალზე. პორტალს დაემატა სტატისტიკის მოდული და მიმდინარეობს მისი განვითარება/გაუმჯობესება;
- საანგარიშო პერიოდში რეგულარულად მიმდინარეობდა სამსახურის ინტერაქტიულ რუკებზე (maps.es.gov.ge, hydrants.es.gov.ge) სხვადასხვა სახის მონაცემის განახლება. რუკებს დაემატა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოწოდებული სახანძრო ჰიდრანტების და „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს (GWP) მიერ მოწოდებული მაგისტრალური მილსადენების მონაცემები;
- მიმდინარეობს შეტყობინებების საინფორმაციო პორტალის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მოწოდებული წყალმომარაგების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ერთიან სივრცეში ასახვას;
- შემუშავდა და ტესტირების რეჟიმში დაინერგა ტრანსპორტის მართვის ელექტრონული პროგრამა.